



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ფრანგული ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფრანგული ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ე. გაჩეჩილაძე

ტელ: 8431 22 19 72 (სახლი)

593 37 29 76 (მობ.)

e-mail: [ekagach@yahoo.fr](mailto:ekagach@yahoo.fr)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი (Major)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

Bachelor of Arts in Philology

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:

აკადემიური ხარისხის მისაღებად ბაკალავრიატის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. საუნივერსიტეტო საგნებისა და ძირითადი სპეციალობის საგნების კრედიტთა ჯამი შეადგენს 180 კრედიტს. 60 კრედიტი კი სტუდენტმა უნდა დააგროვოს მის მიერ არჩეული მეორადი პროგრამის (minor) საშუალებით.

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები – (15 კრედიტი)

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები – (20 კრედიტი)

ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – (15 კრედიტი)

სავალდებულო კურსები – (105 კრედიტი)

არჩევითი კურსები – (15 კრედიტი)

თავისუფალი კრედიტები – (10 კრედიტი)

დამატებითი სპეციალობის (minor) კრედიტები – 60 კრედიტი

#### **საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

#### **პროგრამის მიზანი:**

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენის პარალელურად, მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რაც გულისხმობს სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვას მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციით საქმიანობისათვის.

#### **საბაკალავრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:**

ცოდნა და გაცნობიერება: სტუდენტი შეიძენს „საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს“ მოთხოვნათა უნარ-ჩვევებს ფრანგული ენის პრაქტიკულ კურსში, რაც გულისხმობს არა მარტო ზოგად ლინგვისტურ უნარებს - უცხო ენაზე ზეპირი და

წერილობითი პრეზენტაციების უნარს, არამედ ზოგად კომპეტენციებსაც (წერა, მეტყველება, მოსმენა); შეძლებს სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის გააზრებას; გაეცნობა ქვეყანათმცოდნეობით და ინტერკულტურულ კლიშეებს და რეალიებს. ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსმენილი თეორიული კურსებით (შესავალი ფილოლოგიაში, ლექსიკოლოგია, თეორიული გრამატიკა, ენის ისტორია) მიიღებს საბაზისო ცოდნას ფრანგულ ენაში.

კურსდამთავრებული გააცნობიერებს ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებს, დარგის ლიტერატურას შეიცნობს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, გააცნობიერებს ფრანგული ლიტერატურის კომპლექსურ საკითხებს.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

კურსდამთავრებული ჩაერთვება უცხო ენაზე მოსაუბრესთან დიალოგში, მიიღებს მონაწილეობას დებატებში, შეძლებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელებას, საუბრის წარმართვას, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვას; ფრანგულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგებას, ინტერპრეტაციას და წარმოდგენას.

კურსდამთავრებული გადაწყვეტს სხვადასხვა დარგობრივ თუ ზოგად პრობლემურ საკითხებს და მათ გადასაჭრელად მიმართავს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს, შეიმუშავებს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; გამოიყენებს ლიტერატურული კვლევის მეთოდებს ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების გასაანალიზებლად და დაასაბუთებს, თუ როგორ რეალიზდება მხატვრულად ფრანგული ლიტერატურის ესთეტიკური პრინციპები ამ თუ იმ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლში.

**დასკვნის გაკეთების უნარი:** ბაკალავრს შეეძლება ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.

**კომუნიკაციის უნარი:** ბაკალავრი შეძლებს მშობლიურსა და უცხოურ ენებზე, კონკრეტულ თემაზე და პრობლემაზე წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

ბაკალავრს ექნება უნარი, ფრანგული ლიტერატურის ძირითადი საკითხების მიხედვით თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები როგორც სპეციალისტა, ასევე არასპეციალისტა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. იგი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ბაკალავრს ასევე შეეძლება, მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის.

**სწავლის უნარი:** შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა.

**ღირებულებები:** შეეძლება აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.

**საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის სასწავლო კურსებთან**

საგანი	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	+	+		+		
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	+	+		+		
უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	+	+		+		
შესავალი ფილოსოფიაში	+	+				
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	+	+	+	+	+	+
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	+	+		+		
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	+	+	+	+		
ენათმეცნიერების შესავალი	+	+	+	+		
ლიტმცოდნეობის შესავალი	+	+	+	+		
ზოგადი ენათმეცნიერება	+	+	+	+		
ფრანგული ენა 1	+	+		+	+	
ფრანგული ენა 2	+	+				
ფრანგული ენა 3	+	+	+	+		
ფრანგული ენა 4	+	+		+		
ფრანგული ენა 5	+	+		+		
ფრანგული ენა 6	+	+			+	

ფრანგული ენა 7	+	+	+		+	
ლექსიკოლოგია	+	+	+	+		
თეორიული გრამატიკა	+	+	+	+		
ფრანგული ენის ისტორია	+	+	+	+		
XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
XIX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორია	+	+	+	+	+	
მხატვრული ტექსტის ანალიზი	+	+			+	
შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
XVII-XVIII ფრანგული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
XIX ს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
XX ს. I ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
XX ს. II ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	+	+			+	
მონტესკიე და ქართული მწერლობა (სპეც. კურსი)	+	+			+	
ქვეყანათმცოდნეობა	+	+	+	+		
შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში	+	+	+	+	+	
ფრანგული სარაინდო რომანი	+	+			+	
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 1	+	+		+		
მხატვრული ტექსტის კითხვა	+	+				
შუასაუკუნეების ფრანგული ლირიკა	+	+			+	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 2	+	+		+		

XX საუკუნის დასავლეთევროპული რომანი	+	+	+	+		+
ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია	+	+	+	+		
იტალიური ენა	+	+		+		
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 3	+	+		+		

### დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურების დაწესებულებებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, კულტურის, მართვის, საგამომცემლო დაწესებულებებში; საინფორმაციო საშუალებების, კულტურული ურთიერთობების, სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში. იგი ასევე შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

სასწავლო გეგმა

კურსი	სკ	ლქ/პრ/დამ.	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)</b>												
უცხო ენები			15	5	5	5						
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	5	0/75/50	5	5								
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	5	0/75/50	5		5							
უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	5	0/75/50	5			5						
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)</b>												
შესავალი ფილოსოფიაში	3	30/15/80	5	5								
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30/30/65	5	5								
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	3	30/15/80	5	5								

შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	30/15/80	5	5								
<b>ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – (15 კრედიტი)</b>												
ენათმეცნიერების შესავალი	2,5	22/15.5/87	5		5							
ლიტმცოდნეობის შესავალი	2,5	22/15.5/87	5		5							
ზოგადი ენათმეცნიერება	3	30/15/80	5								5	
<b>სავალდებულო კურსები – (105 კრედიტი)</b>												
ფრანგული ენა 1	5	0/75/50	5		5							
ფრანგული ენა 2	3	0/45/80	5			5						
ფრანგული ენა 3	7	0/105/145	10				10					
ფრანგული ენა 4	7	0/105/145	10					10				
ფრანგული ენა 5	5	0/75/50	5						5			
ფრანგული ენა 6	5	0/75/50	5							5		
ფრანგული ენა 7	4	0/60/65	5								5	
ლექსიკოლოგია	2	15/15/95	5					5				
თეორიული გრამატიკა	2	15/15/95	5						5			
ფრანგული ენის ისტორია	2	15/15/95	5							5		
XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთევროპული	3	30/15/80	5		5							

ლიტერატურის ისტორია												
XIX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორია	3	30/15/80	5			5						
მხატვრული ტექსტის ანალიზი	2	15/15/95	5						5			
შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5				5					
XVII-XVIII ს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5					5				
XIX ს. ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5						5			
XX ს. I ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5							5		
XX ს. II ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ისტორია	3	15/30/80	5								5	

ისტორია												
მონტესკიე და ქართული მწერლობა(სპეც. კურსი)	3	30/15/80	5								5	
<b>არჩევითი კურსები (15 კრედიტი)</b>												
<b>არჩევითი კურსი - 1</b>			5		5							
ქვეყანათმცოდნეობა	2	15/15/95	5		5							
შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში	2	15/15/95	5		5							
ფრანგული სარაინდო რომანი	2	15/15/95	5		5							
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 1	5	0/75/50	5		5							
<b>არჩევითი კურსი – 2</b>			5		5							
მხატვრული ტექსტის კითხვა	2	0/30/95	5		5							
შუასაუკუნეების ფრანგული ლირიკა	2	15/15/95	5		5							
ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	0/45/80	5		5							
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 2	5	0/75/50	5		5							
<b>არჩევითი კურსი - 3</b>			5		5							
XX საუკუნის	3	30/15/80	5		5							

დასავლეთევროპული რომანი												
ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია	3	30/15/80	5			5						
იტალიური ენა	3	0/45/80	5			5						
II უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 3	5	0/75/50	5			5						
თავისუფალი კრედიტები	3	30/15/80	10	5						5		
დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10	
<b>სულ</b>			<b>240</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება : სკ-სათი კვირაში; ლ/პ/დამ. ლექცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი მუშაობა

### სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებას;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
    - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
    - ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

#### შეფასების მეთოდები

- ლექციაზე დასწრებისა და აქტიურობის შეფასება;
- დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკუმზე;
- წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს;
- სალექციო თემების და პრაქტიკული მასალის ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს;
- ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს

#### სწავლების მეთოდები

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულის თუ ზოგადად პროგრამის მიზნების განხორციელებას.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე სტუდენტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში სტუდენტის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:**

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწეს მალაკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).

საკუთრივ ფრანგული ფილოლოგიის განყოფილებას აქვს მდიდარი მატერიალური რესურსი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

- ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტების საკუთრივ მატერიალურ რესურსს შეადგენს:
- -1 კომპიუტერი
- -1 ტელევიზორი
- -1 ვიდეომაგნიტოფონი
- 3 აუდიომაგნიტოფონი
- -1 CD PLAYER
- - 1 სატელიტის მიმღები
- -კასეტები (ვიდეოთეკა)